საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 21 0000616040

22/06/2021

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გარემოსდაცვითი ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^2 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის დებულების მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27[5] მე-7[1] პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2020 წლის 29 დეკემბრის №1239591 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1244077, 31/12/2020), წარმოდგენილ იქნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი ,,გარემოსდაცვითი ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 თებერვლის № 128837 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 22 მარტის №267429 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2021 წლის 01 და 02 აპრილს, ხოლო 2021 წლის 31 მაისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		•		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			•	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		•		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		•		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		•		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 08 ივნისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე

აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე - 3 და მე - 5 სტანდარტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ.

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 22 ივისის №612591 სხდომის ოქმის №-06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

4.1.პროგრამის მიზნები უნდა ჩამოყალიბდეს უფრო ნათლად და გამოყენებული ტერმინოლოგია უნდა შეესაბამებოდეს გარემოსდაცვითი ინჟინერიის სფეროში მიღებულ თანამედროვე ტერმინოლოგიას, რაც ასევე გამოყენებულია საქართველოს გარემოს დაცვის სფეროში მოქმედ საკანონმდებლო დოკუმენტებში;

4.2. შეიცვალოს სწავლის შედეგების ფორმულირება კომპლექსური სწავლის შედეგების წარმოდგენით, რომელიც სრულად იქნება შესაბამისობაში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონესთან;

4.3. შეიცვალოს სწავლის შედეგებისათვის გამოყენებული მოძველებული ტერმინოლოგია (რასაც თანამედროვე გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში აღარ იყენებენ) მაგ. „საპროექტო-ეკოლოგიური გამოკვლევა“ - გარემოსდაცვითი შეფასებით;

4.4. შეიცვალოს სწავლის შედეგების ფორმულირება 0712 დარგობრივ სფეროზე ორიენტირებით, სადაც ნათლად გამოიკვეთება გარემოს დაცვის ტექნოლოგიის, როგორც საინჟინრო დარგის მიმართება დაბინძურებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, დაბინძურების თავიდან აცილების პროცესების სწავლებაში;

4.5. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის;

4.6. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
4.7. შემუშავდეს უცხო ენაში გასაუბრების ფორმატი და შესაბამისი რეგულაცია, რომელიც დაადასტურებს პირის კომპეტენციას B2 დონეზე ან შეიცვალოს გასაუბრება 10 გამოცდით (დაწესებულებას გააჩნია ასეთი გამოცდის ჩატარების მრავალწლიანი პრაქტიკა);
4.8. პროგრამაზე მისაღები გამოცდის საკითხებში და გამოყენებულ ტესტებში ასახეთ გარემოსდაცვითი ინჟინერიისათვის რელევანტური საკითხები;
4.9. რეკომენდირებულია მოდიფიცირდეს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, რომელიც დაეფუძნება განახლებულ პროგრამის სწავლის შედეგებს (რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონესთან) და დარგობრივი სფეროს შესაბამისი ანალოგი პროგრამების ანალიზს;
4.10. პროგრამის შინაარსში გაითვალისწინეთ სწავლის შედეგების შესაბამისი პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო აქტივობები;
4.11. რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამაში გამოყენებული დარგობრივი ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს და საერთაშორისო სივრცეში დამკვიდრებულ სამართლებრივ და სამეცნიერო ტერმინებთან;
4.12. საფუძვლიანად გადაიხედოს სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და ფორმულირდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონის შესაბამისად, განისაზღვროს მათი მიღწევის გზები კურსის შინაარსის, ფორმატისა და შეფასების მეთოდების მისადაგებით;
4.13. სასწავლო კურსებში ძირითად ლიტერატურად აისახოს სწავლის სფეროს აქტუალური მიღწევები და უახლესი კვლევები მოცემულ სფეროში, მათ შორის უცხოენოვანი ლიტერატურა, ეროვნულ დონეზე არსებული კანონები და ნორმატიული აქტები, ქართულენოვანი ანგარიშები, ეროვნული შეფასებები, კვლევები და შეფასებები, რომლის გამოყენება მნიშვნელოვანია სამაგისტრო დონის სწავლის შედეგების მიღწევისათვის;
4.14. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების - "სამეწარმეო და ტექნოლოგიური მენეჯმენტი", "ეკოლოგიური მენეჯმენტი" "საწარმოო ეკოლოგიური მენეჯმენტი" შინაარსი და დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, აგრეთვე, ძირითადი სახელმძღვანელო ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს კურსების დასახელებასთან, ასევე საგანმანათლებლო საფეხურის მოთხოვნებთან;
4.15. რეკომენდირებულია საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება საგანმანათლებლო პროგრამაში;
4.16. რეკომენდირებულია სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან;
4.17. რეკომენდებულია, რომ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას, ამასთან მეტი აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, რომ შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები არ იყოს უნიფიცირებული და შეფასების რუბრიკებში ქულების გადანაწილება არ ფარავდეს ერთმანეთს;
4.18. უსდ-მ სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად დანერგოს შეფასების შედეგების ანალიზის ქმედითი მექანიზმები;
4.19. რეკომენდებულია საერთაშორისო ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშემწყობი მექანიზმების გაუმჯობესება (როგორიცაა საერთაშორისო მობილობა, გაცვლითი პროექტები და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები);
4.20. გაუმჯობესდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში აისახოს კონკრეტული ამოცანები პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი გაუმჯობესებისათვის;
4.21. მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით დასახული იმ ამოცანების მიხედვით, რომელიც მიმართულია პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისაკენ;

4.22. უზრუნველყავით შიდა შეფასების მექანიზმების სათანადო გამოყენება და დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვ) აქტიური ჩართულობა პროგრამის განახლების, განვითარებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესებში.

რჩევები

1. გაუმჯობესდეს პროგრამის მონიტორინგის პროცესი კომპლექსური ანალიზისა და რეკომენდაციების გაცემის მხრივ, მოხდეს გამოვლენილი საკითხების გაზიარება და შემდგომი გამოყენება პროგრამის განვითარებისთვის;
2. სასურველია სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტის წინაპირობად განისაზღვროს ინოვაციები და მეწარმეობის საკითხები;
3. შემუშავდეს მოქმედი პროგრამების ანალოგ პროგრამებთან დადარების პროცედურა და კრიტერიუმები, რომელიც მიმართული იქნება წამყვანი უნივერსიტეტების (მათ შორის სტუ-ს პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგ პროგრამებთან დადარებაზე და მიღებული შედეგების შემდგომი გამოყენების პრაქტიკის დანერგვაზე;
4. განხორციელდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერა და ტრენინგები სწავლება-სწავლის თანამდეროვე მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების საკითხებზე;
5. უზრუნველყავით ანალიზისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების გაზიარება თვითშეფასების სამუშაო ჯგუფისათვის და მათი შემდგომი გამოყენება თითოეული სტანდარტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისათვის;
6. შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მრავალმხრივად გამოიყენებს სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერ მექანიზმებს;
7. გააძლიერდეს პროგრამის მიმდინარე საჭიროებებზე დაფუძნებული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერა სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის;
8. პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შემდგომი განახლების პროცესში უზრუნველყავით სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა და ინფორმირებულობა;
9. შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, რომელიც დაეყრდნობა სტუ-ს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესს და სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის ხედვა და მოთხოვნები დარგობრივი სფეროს სწავლის შედეგების მიხედვით;
10. პროგრამის შემდგომი მოდერნიზებისა და განვითარების პროცესში, დაინერგოს თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდები, მათ შორის ლაბორატორიული მეთოდი, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე 11 დაფუძნებული სწავლება და სხვა, რაც შესაბამისობაში იქნება კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;
11. გამოიყენეთ ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები სტუდენტების პრაქტიკული უნარებისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისათვის, რაც შესაძლებელია გაიწეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაში. მათ შორის შესაძლებელია ორიენტირება გაკეთდეს უცხოელი პროფესურის მოწვევაზე საჩვენებელი და ღია ლექციების ჩატარების მიზნით, სადაც წარმოდგენილი იქნება მათი კვლევითი გამოცდილება და მიღწევები;
12. სასურველია, უსდ-მ სამაგისტრო პროგრამის წარჩინებული სტუდენტებისთვის დანერგოს სასტიპენდიო პროგრამა;
13. სასურველია, უსდ-მ სტუდენტებისთვის უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება;
14. რჩევაა, რომ პროგრამის განვითარებისათვის დაწესებულებამ გამოიყენოს კომპლექსური მიდგომები, რისთვისაც საუკეთესო გადაწყვეტილებები გადის უნივერსიტეტის

კვლევითი ინფრასტრუქტურის (კვლევითი ინსტიტუტების) და სხვა ფაკულტეტების შესაძლებლობების კლასტერულ ჭრილში გამოყენებაზე;

15. დაწესებულებამ დანერგოს ელექტრონული გამოკითხვები, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს ფასეულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებს (დრო, ქაღალდი, საბეჭდი მოწყობილობის კარტრიჯი და ა.შ), ამასთან გაზრდის კითხვარების რესპოდენტებისათვის ხელმისაწვდომობას.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 08 ივნისს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ